

ქართველი და მიგრანტი სტუდენტების ინტერკულტურული
მგრძობელობის ხარისხი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

მარიამ ღამბაშიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ ღამბაშიძე

30.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება ქართველი და მიგრანტი სტუდენტების ინტერკულტურული მგრძობელობის ხარისხის შესწავლას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. კვლევის მიზანი იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და კულტურების წარმომადგენელი სტუდენტების შეხედულებებისა თუ ქცევის დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ახდენს გავლენას სხვადასხვა გარემოებები მათ ინტერკულტურულ მგრძობელობის ხარისხზე.

აღნიშნული საკითხების დასადგენად გამოყენებულ იქნა მილტონ ბენეტის მიერ შემუშავებული ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების 6 ფაზიანი მოდელი, რომელზე დაფუძნებითაც შემუშავდა რიგი დებულებები კითხვარისთვის. კვლევაში წარმოდგენილია 34 ეროვნების, განსხვავებული სქესის, კურსისა და გამოცდილებების მქონე სტუდენტების გამოკითხვის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები.

კვლევამ აჩვენა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძობელობა უფრო მაღალია ვიდრე მიგრანტ სტუდენტებში. რაც იმას მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი სტუდენტები უფრო მარტივად იღებენ სხვა კულტურის ადამიანებს და ამყარებენ ეფექტურ კომუნიკაციას, ვიდრე მიგრანტი სტუდენტები.

კვლევის შედეგად დაგინდა, რომ სტუდენტთა სქესი, კურსი თუ გამოცდილება კორელაციაშია ინტერკულტურული მგრძობელობის დონესთან. მაღალკურსელ, უცხოეთში მცხოვრებ და უცხო კულტურასთან ინტერაქციის გამოცდილების მქონე სტუდენტებს უფრო მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობა აქვთ, ვიდრე მათ,

ვინც დაბალკურსელია და უცხო კულტურასთან ინტერაქციისა თუ ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონია. ინტერკულტურული მგრძნობელობის მაღალი დონით გამოირჩევიან მდებდრობითი სქესის სტუდენტები და ასევე, ის სტუდენტები, რომლებსაც უცხო ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია აქვთ.

საკვანძო სიტყვები: ინტერკულტურული განათლება. ინტერკულტურული მგრძნობელობა. ეთნორელატიურობა, ეთნოცენტრულობა, მიგრანტი სტუდენტები საქართველოში

Abstract

The survey concerns to intercultural sensitivity of Georgian and Migrant students at Caucasus International University. The aim of the study was to determine the views and the behaviors of students of various ethnic groups and cultures. As well as determine how different circumstances affect their intercultural sensitivity.

The 6-phase Development Model of Intercultural Sensitivity (DMIS) developed by Milton Bennett was used to establish the questionnaire that was used during the study. The study provides data obtained from the survey where students of 34 nationalities, different gender, courses and experiences were presented.

The study showed that intercultural sensitivity of Georgian students at the Caucasus International University is higher than in Migrant students. This result of the survey indicates that Georgian students are integrating easier with people from different cultures and have more effective communication with other cultures than Migrant students do.

The study shows that the gender, the course and different experiences are in correlation with the intercultural sensitivity level. Senior students, students with intercultural interaction experience and students who have the experience of living abroad have higher intercultural sensitivity than junior students and those who have no experience in interacting with people from different cultures. Female students and students with high competence of foreign language express higher level of intercultural sensitivity.

Key words: Intercultural Education, Intercultural Sensitivity, Ethnorelativism, Ethnocentrism, Migrant students in Georgia.